

№ 04/02-213

15 მარტი, 2016

სამინისტროს მიერ შემუშავებული ზოგიერთი
კანონპროექტის შესახებ საჯარო ინფორმაციის
მოთხოვნის თაობაზე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო
ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც ცნობილია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ამჟამად შემუშავების პროცესშია რამოდენიმე კანონპროექტი, რომლებსაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვთ კანონპროექტებით დარეგულირებულ სფეროებში; ამდენად, მათ მიმართ საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით მაღალია. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტი, „საქართველოს ტყის კოდექსის“ პროექტი და „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტი.

ამჟამად ცნობილია ზემოაღნიშნული სამი კანონპროექტიდან მხოლოდ ერთის - „საქართველოს ტყის კოდექსის“ პროექტის - საჯარო განხილვის თარიღი (ა.წ. 18 მარტს დაგეგმილია გამოქვეყნებული სამუშაო ვერსიის განხილვა); სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის უცნობია, რა ფაზაშია დანარჩენი ორი კანონპროექტის შემუშავების პროცესი და როდის იგეგმება (ან საერთოდ, იგეგმება, თუ არა) პარლამენტში წარდგენამდე კანონპროექტების კომენტარებისთვის გამოქვეყნება ან/და საჯარო განხილვების მოწყობა.

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ბოლო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა 2015 წლის სექტემბრის დასაწყისში, სექტემბერშივე (23-24 სექტემბერს) მოეწყო ამ ვერსიის საჯარო განხილვა. დადგეგმილი იყო კიდევ ერთი საჯარო განხილვის მოწყობა 2015 წლის 12

ოქტომბერს; ეს განხილვა გაუქმდა და სამწუხაროდ, ამის შემდეგ სამინისტროს არ გაუკეთებია რაიმე საჯარო განმარტება კანონპროექტთან დაკავშირებული გეგმების შესახებ.

- ანალოგიურად, არაფერია ცნობილი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე. კანონპროექტის პირველი ვერსია გამოქვეყნდა 2015 წლის 12 ნოემბერს და საზოგადოებას მიეცა ვადა კომენტარების წარდგენისთვის. კომენტარების ვადის ამოწურვის შემდეგ საჯარო განხილვა არ ჩატარებულა და ამ დრომდე არც კანონპროექტის სხვა ვერსია გამოქვეყნებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რა ფაზაშია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა“ და „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტების შემუშავების პროცესი? იგეგმება, თუ არა და თუ იგეგმება, როდის, კანონპროექტების მომდევნო ვერსიების გამოქვეყნება საზოგადოებისგან კომენტარების მისაღებად? იგეგმება, თუ არა საჯარო განხილვების მოწყობა და თუ იგეგმება, როდის?
- როდისაა დაგეგმილი კანონპროექტების საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენა (კითხვა ეხება სამივე კანონპროექტს)?
- გთხოვთ, მოგვაწოდოთ სამინისტროში დღემდე სამივე კანონპროექტზე დაინტერესებული მხარეების მიერ (მათ შორის, ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კომპანიების, სახელმწიფო უწყებების, თვითმმართველობების, საპატრიარქოს და სხვ. - ასეთის არსებობის შემთხვევაში) წერილობით წარმოდგენილი ყველა მოსაზრების (შენიშვნებისა და კომენტარების) ასლი. აქვე, გთხოვთ, ასევე, გამოაქვეყნოთ ეს დოკუმენტები სამინისტროს ვებ-გვერდზე (ამჟამად სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ „საქართველოს ტყის კოდექსის“ პროექტის თაობაზე მწვანე ალტერნატივას მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები).

პატივისცემით,



ნინო გუჯარაიძე
ადმასრულებელი დირექტორი